

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N 12

ქ. გარდაბანი

18 დეკემბერი 2025 წელი 14:00 სთ.

სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა ჩატარდა 2025 წლის 18 დეკემბერს. კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, კომისიის წევრებისათვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას უძღვება სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - თამარ ხაჩიძე.

სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი:

1. ლია მეტრეველი
2. კამრან ბაბაევი
3. დავით ებილაშვილი
4. ფლორა ასკაროვა
5. იუსუფ მელაძე
6. არკადი ფანგანი
7. ქართლოსი მამულაძე
8. ხვიჩა ჩიტიაშვილი
9. გიორგი გამეზარდაშვილი
10. ანი მანჩხაშვილი
11. ილხამ ბაირამოვი

არ ესწრებოდა: მირზა მირზოევი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დასამტკიცებლად დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები:

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა.
2. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის ნესტორ ხერგიანის დაჯილდოების შესახებ.
3. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის დავით ლორიაშვილის დაჯილდოების შესახებ.
4. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის ბადრი ბედიანაშვილის დაჯილდოების შესახებ.
5. ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი.

კენჭი ეყარა წინადადებას დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ:

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

საკითხი: 1.

მოგახსენებთ, რომ საკრებულოს თავმჯდომარის რეზოლუციის შესაბამისად, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიაში, განსახილველად შემოვიდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 9 დეკემბრის N12-192534311-19 წერილი, სადაც წარმოდგენილია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტისა და „გ“ პუნქტის „გ. ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიამ 2025 წლის 18 დეკემბერს სხდომაზე განიხილა „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ პროექტი და მხარს უჭერს შემდგომი განხილვის მიზნით, საკითხი გავიდეს ბიუროს უახლოეს სხდომაზე.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ მეორე საკითხს კენჭი უყარა - „ხართ თუ არა თანახმა, რომ პირველი საკითხი გავიდეს განსახილველად ბიუროს უახლოეს სხდომაზე“.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

საკითხი: 2.

მოგახსენებთ, რომ საკრებულოს თავმჯდომარის რეზოლუციის შესაბამისად, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიაში, განსახილველად შემოვიდასაქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის 2025 წლის 10 ნოემბრის №1178 წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ 2025 წლის 1-6 ნოემბერს საფრანგეთში (ქ.პარიზი) გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატი ვეტერან ძიუდოისტებს შორის, სადაც გარდაბნის მუნიციპალიტეტის მკვიდრმა ნესტორ ხერგიანმა (პ.ნ 30001000005) 73 კგ. წონით კატეგორიაში დაიკავა I საპრიზო ადგილი.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიამ 2025 წლის 18 დეკემბერს სხდომაზე განიხილა სპორტსმენის ნესტორ ხერგიანის შესაძლო დაჯილდოებას არაუმეტეს 4000 (ოთხათასი) ლარისა, - გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის № 9 დადგენილების შესაბამისად.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2025 წლის 18 დეკემბრის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, კომისია მხარს უჭერს სპორტსმენის ნესტორ ხერგიანის დაჯილდოების შესახებ საკითხის გატანას, შემდგომი განხილვის მიზნით, ბიუროს უახლოეს სხდომაზე.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ მეორე საკითხს კენჭი უყარა - „ხართ თუ არა თანახმა, რომ მეორე საკითხი გავიდეს განსახილველად ბიუროს უახლოეს სხდომაზე“.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

საკითხი 3.

მოგახსენებთ, რომ საკრებულოს თავმჯდომარის რეზოლუციის შესაბამისად, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიაში, განსახილველად შემოვიდა საქართველოს მიუდოს ეროვნული ფედერაციის 2025 წლის 11 ნოემბრის N1180 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ 2025 წლის 1-6 ნოემბერს საფრანგეთში (ქ.პარიზი) ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი ვეტერან ძიუდოისტებს შორის, სადაც მონაწილეობა მიიღო გარდაბნის მუნიციპალიტეტის მკვიდრმა, ძიუდოისტმა დავით ლორიაშვილმა (პ/ნ:12001050422) +100 კგ. წონით კატეგორიაში და დაიკავა I საპრიზო ადგილი.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიამ 2025 წლის 18 დეკემბრის სხდომაზე განიხილა სპორტსმენის დავით ლორიაშვილის შესაძლო დაჯილდოება არაუმეტეს 4000 (ოთხიათასი) ლარისა - გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის № 9 დადგენილების შესაბამისად.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2025 წლის 18 დეკემბრის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, კომისია მხარს უჭერს სპორტსმენის დავით ლორიაშვილის დაჯილდოების შესახებ საკითხის გატანას შემდგომი განხილვის მიზნით, ბიუროს უახლოეს სხდომაზე.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ მესამე საკითხს კენჭი უყარა - „ხართ თუ არა თანახმა, რომ მესამე საკითხი ცნობად იქნეს მიღებული“.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

საკითხი: 4

მოგახსენებთ, რომ საკრებულოს თავმჯდომარის რეზოლუციის შესაბამისად, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიაში, განსახილველად შემოვიდა საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის 2025 წლის 10 ნოემბრის №1179 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ 2025 წლის 1-6 ნოემბერს საფრანგეთში (ქ.პარიზი) გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატი ვეტერან ძიუდოსისტებს შორის, სადაც გარდაბნის მუნიციპალიტეტის მკვიდრმა ბადრი ბედიანაშვილმა (პ.ნ 12001019004) 60 კგ. წონით კატეგორიაში დაიკავა III საპრიზო ადგილი.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიამ 2025 წლის 18 დეკემბერს სხდომაზე განიხილა სპორტსმენის ბადრი ბედიანაშვილის შესაძლო დაჯილდოება არაუმეტეს 2000 (ორიათასი) ლარისა - გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის №9 დადგენილების შესაბამისად.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2025 წლის 18 დეკემბრის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, კომისია მხარს უჭერს სპორტსმენის ბადრი ბედიანაშვილის დაჯილდოების შესახებ საკითხის გატანას, შემდგომი განხილვის მიზნით, ბიუროს უახლოეს სხდომაზე.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ მეოთხე საკითხს კენჭი უყარა - „ხართ თუ არა თანახმა, რომ მესამე საკითხი ცნობად იქნეს მიღებული“.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

საკითხი: 5

მოგახსენებთ, რომ საკრებულოს თავმჯდომარის რეზოლუციის შესაბამისად, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიაში შემოვიდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის 17 დეკემბრის № 12-19253511-19 წერილი - გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით გასათვალისწინებელი ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის ქვეპროგრამების პროექტის განხილვის შესახებ.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიამ 2025 წლის 18 დეკემბრის სხდომაზე განიხილა - გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით გასათვალისწინებელი ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის ქვეპროგრამების პროექტი. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკითხი გავიდეს ბიუროს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ მესამე საკითხს კენჭი უყარა - „ხართ თუ არა თანახმა, რომ მესამე საკითხი ცნობად იქნეს მიღებული“ .

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

კომისიამ დაადგინა:

საკითხი : 1.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიამ 2025 წლის 18 დეკემბერს სხდომაზე განიხილა „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ პროექტი და მხარს უჭერს შემდგომი განხილვის მიზნით, საკითხი გავიდეს ბიუროს უახლოეს სხდომაზე.

საკითხი 2.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2025 წლის 18 დეკემბრის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, კომისია მხარს უჭერს სპორტსმენის ნესტორ ხერგიანის დაჯილდოების შესახებ საკითხის გატანას, შემდგომი განხილვის მიზნით, ბიუროს უახლოეს სხდომაზე.

საკითხი: 3.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2025 წლის 18 დეკემბრის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, კომისია მხარს უჭერს სპორტსმენის დავით ლორიაშვილის დაჯილდოების შესახებ საკითხის გატანას შემდგომი განხილვის მიზნით, ბიუროს უახლოეს სხდომაზე.

საკითხი: 4.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2025 წლის 18 დეკემბრის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, კომისია მხარს უჭერს სპორტსმენის ბადრი ბედიანაშვილის დაჯილდოების შესახებ საკითხის გატანას, შემდგომი განხილვის მიზნით, ბიუროს უახლოეს სხდომაზე.

საკითხი: 5.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიამ 2025 წლის 18 დეკემბრის სხდომაზე განიხილა - გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით გასათვალისწინებელი ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის ქვეპროგრამების პროექტი. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკითხი გავიდეს ბიუროს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე:  თამარ ხაჩიძე